

მთავარი ქალი ერეკლეს გვერდით

დადლილ ხევსურთა ლაშქარს წინ ცხენზე ამხედრებული ერეკლე მიუძღვოდა. ქანცგაცლილ მეომრებს არაფერი ეტყობოდათ გამარჯვების, პირქუშმა მთავარსარდალმა მხოლოდ მაშინ გაიღიმა, როცა აივნის კიდეზე გადმომდგარი „თეკლა ბიჭი“ დაინახა. მეფეს განსაკუთრებით უყვარდა ნაბოლარა ქალიშვილი ეს ზედმეტსახელიც დიდი სიყვარულით შეურქმევია და სამეფო ბეჭდით დაუდასტურებია ანტონ I და იულონ ბატონიშვილთან ერთად.

ნაალაფარის გაყოფაზე მტკიცე უარის მიღების შემდეგ მეფემ ხევსურებს ვახშმად დარჩენა შესთავაზა. ნადიმზე ბევრი ვაჟკაცი აპირებდა საგმირო ამბის გახსენებას და სხვების განცვიფრებას, თუმცა ხმა ვერავინ ამოიღო როცა მეფემ მელიქიფეოზა თავის ქალიშვილ თეკლას სთხოვა. ბატონიშვილს ძალიან გაუჭირდა ფეხზე დგომა თუმცა იგი ყოველთვის ასრულებდა მამისთვის მიცემულ პირობას ყოფილიყო „თეკლა ბიჭი“. ბავშვობაში შერქმეული ზედმეტსახელი ქალს სიკვდილამდე მიჰყვა. მეფისა და ქალიშვილის განსაკუთრებული ურთიერთობის ამსახველი საოცარი წერილიც სწორედ მეფის მიერ შერქმეული ზედმეტსახელით იწყება.

დეკემბრის ცივი ღამე იყო, ერეკლე II მკაცრი მზერით გაჰყურებდა სივრცეს, როდესაც იგრძნო თუ როგორ ერეოდა დადლილობა და საწერ მაგიდას მიუჯდა. იჯდა მეფე და მისი მორბენა ლი მზერა არაფერს ეკიდებოდა, დადლილი გონება ვერაფერს მოაჭიდა და ის-ის იყო ადგომა დააპირა რომ წამით შეჩერდა, თავი გვერდზე გადახარა და სერიოზული, მეფური, სახე ღიმილმა გაუზარა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ, მეფე უკვე ხელებში თავჩარგული იჯდა და თითქოს რაღაცის და ნახვას ცდილობდა, რაღაცის რაც არ ჩნდებოდა ერეკლეს დაჟინებული მზერის შიშითაც კი. ფურცელი ხელში აიღო და ხან სახესთან ახლოს მიიტანა, ხანაც მოიშორა. ვერც განათება დაეხმარა, ვერც სავარაუდო სიტყვების მიმსგავსება. დადლილი, მისივე საყვარელ სკამზე ჩამოჯდა, ცალ ხელში ფურცელი ეჭირა, მეორე ხელით კი საწერ მაგიდას ეყრდნობოდა და უშედეგოდ ცდილობდა გაუგებარი სიმბოლოები რამისთვის მიემსგავსებინა. უჩვეულო სიამაყით ავსებდა შვილის გამოგზავნილი წერილი, რომელიც ვერც წაეკითხა და დარწმუნებული იყო, რომ თეკლას არაბულისმაგვარი ნაწერის მიღმა რაღაც საოცრად ჭკვიანური ემალებოდა.

ექვსი ბროწეული გაეგზავნა თავისი "თეკლა ბიჭისთვის" თუმცა ახლა, როდესაც მის გაუგებარ "სიბრძნით სავსე" წერილს უყურებდა, ეცოტავა ტკბილის მოყვარული შვილისთვის გაგზავნილი საჩუქარი და შაქრის ყინულის, ნუღლისა და შაქრის გაგზავნაც განიზრახა. გასაოცარია, როგორ ერთნაირად ახარებენ მშობლები შვილებს ტკბილეულით, მიუხედავად იმისა არის ეს ასული მეფისა თუ გლეხისა.

კიდევ ერთხელ დახედა მეფემ ფურცელს, თუმცა ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა, ბოლოს გაეღიმა და გადაწყვიტა შვილისთვის პასუხი მიეწერა.

თეკლა ბატონიშვილი ჯერ მხოლოდ ხუთი წლისა გახლდათ, თუმცა მეფემ გადაწყვიტა შვილის გასახარებლად, მისთვის, როგორც დიდისთვის მიეწერა. მდივან-

მწიგნობრებსაც არ მიაწოდო ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე და თავად შეუდგა გამიზნულს აქმეს. გადმოიღო მაღალი ხარისხის აღმოსავლური ქაღალდი, ქაღალდზე ყავისფერი მელანი საწერად მოიმარჯვა და დაიწყო მისთვის ჩვეული მიმართვით-

"თეკლა ბიჭსა...". მეფემ ოსტატურად გააერთიანა ნაბოლარა თეკლასათვის გასაგზავნ წერილში შვილისადმი სიტბო, ბევრი ტკბილეულის გაგზავნის პირობა და მიღებული წერილის დასაწერად გარჯილობაც შეუქო. ეს ყოველივე აღბეჭდა ხუთენოვანი ბეჭდითაც.

გაახსენდა ერთი წლით ადრე სახუმარო სიგელით თეკლას ბიჭობა როგორ მიანიჭა და სიგელი კათალიკოს ანტონსა იულონ ბატონიშვილს დაამტკიცებინა. გაეღიმა და წელან დაწერილი წერილი არაერთხელ გადაიკითხა, ფიქრობდა როგორ გაახარებდა ეს წერილი თეკლას, თუმცა თითქოს თავად უფრო ახარებდა ეს ყველაფერი.

ბოლოს ხელებზე დაიხედა, ომებითა და აჯანყებებით გათანგულ მამას თითები მელნით შეფერვოდა და არა სისხლით. ეიმედებოდა სახლში დაბრუნება და ქალიშვილთან თბილი შეხვედრა. ოჯახის წევრთა მიმართ ალერსი და სიტბო კიდევ შემორჩენოდა სამეფო საქმეებით გადაღლილ გულში.

ვფიქრობ, თვით მეფეც, მისი წინდახედულობით ამ სადამოს ვერც იფიქრებდა რომ ეს წერილი მოხვდებოდა მის მიერ გაცემულ 1300 დოკუმენტს შორის, რომელიც დღეს ეროვნული არქივის ძველი საბუთების დედნების არქივში ინახება. რთულად თუ წარმოიდგენდა იმასაც რომ ხუთენოვანი ბეჭედი მხოლოდ ხუმრობით დასმულ წერილზე მოაღწევდა ჩვენამდე. ასე გადაგვირჩინა მამაშვილურმა ურთიერთობამ ჩვენივე ისტორიის ნაწილი

მარიამ გულუა
13 წლის
ქ. ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა.
მე-9 კლასი